 მხრით ბათუმის სკოლა საწუფლოთ მაგალითს წარ-  
 მოადგენს. მასწავლებელთ მხნეთ უშრომით ამ სკო-  
 ლის წარმატებისათვის“. მასწავლებლათ არიან: ის.  
 რამიშვილი და ი. გოგოლაშვილი, ორივე სენაკის  
 სკოლაში მასწავლებლათ ნამყოფნი და ცნობილი  
 „ისტორიის“ გამო იქიდან გადმოყვანილი. სენაკის  
 სათ. ახ. სკოლა დაუთავილიერებია ბ. მთვარელი-  
 შვილს და მისი მოხსენებიდან „ანგარიშში“ შემდეგია  
 შეტანილი: სწავლა საანგარიშო წელს გარდა პირვე-  
 ლი განყოფილებისა ურგოთ არა ყოფილა დაყენებუ-  
 ლი, ხოლო მოწაფეების გონებრივათ წერტიან-ავარჯი-

შობის საქმე უფრო მეტი ნიადაგზე იქნებოდა და-  
 ყენებული, რომ ინსპექტორსა და მასწავლებელთ წი-  
 რის უთანხმოებას და განხეთქილებას ადგილი არ  
 ჰქონოდა სკოლაში. ბ. მთვარელიშვილის სიტყვით  
 „არც ერთი თვემყოფარე და სკოლის სიკეთეს მსურ-  
 ველი უფროსი ვერ მოითხენდა იმდენს უწესოებას! მასწავ-  
 ლებელთათა, რამდენიც მოუთმენია ბ-ნს ყო-  
 ფიანს. ეს ვიხსენებარა სათამაშო იარაღთ მასწავ-  
 ზელათა და მოსწავლეთათგან და ის ვისჩვენია ამის-  
 თანა ქეცეს, რომ ჩვეულებრივათ მიუწინეგია ამისძან-  
 ნა უწესოება. ამისათვის წესიერების დამყარება ამ  
 სასწავლებელთა მხელია დღეს, უკეთუ დღევანდელი  
 მოღვაწენი თავისვე ადგილზე დარჩებიან. მიუხე-  
 დავად ამისა მინც ბ-ნის ყოფიანის მოღვაწეობა იმ-  
 დენათ თვალსაჩინოა, რომ მისი უყურადღებოდ და-  
 ტოვება უმადურობის მოამსწავლებელი იქნებოდა.  
 თვრამტი წლის განმავლობაში ბ. ყიფიანი იყო  
 ერთათ-ერთი თავგამოდებით მშრომელი ძველი სე-  
 ნაკის სკოლის წარმატებისათვის დაარჩებიდან ამ სკო-  
 ლისა დღევანდლამდე. ბ-ნი ყიფიანის მეცადინეო-  
 ბით სკოლას აქვს ორ-საჯულიანი ქეითკარის სახ-  
 ლი და შვენიერი ბალი, რაცზე აშენებული და:  
 მოწყობილი“.

„გამეგობამ ბ-ნი მთვარელიშვილიან მოხსენების  
 მიხედვით და ყველა იმ საბუთებისა, რომელიც სა-  
 ზოგადოების კანცელარიაშია, 18 ივნისს დაადგინა,  
 საქმის სარგებლობისა და წესიერების ჩამოადგენისა-  
 თვის სახენებელი ოთხი მასწავლებელი და აღმზღე-  
 ლი დათხოვნილი იქმნენ სამსახურიდან, ხოლო ინ-  
 სპექტორი ს. ყიფიანი ვადაყენილი იქმნას ქუთაისის  
 სათავად აზნაურო სკოლის მასწავლებლად. მის ნაც-  
 ლად დანიშნა ინსპექტორათ ქუთაისის სათავად-  
 ანაურო სკოლის მასწავლებელი თ. ა. მთვარელიშვილი.  
 მასწავლებლათ 1 ცნენისთვიდან დროებით განწე-  
 სებულ იქნენ: ა. წითლიძე, ნ. ჯანაშია, პ. ლორთ-  
 ქიფანიძე და ბ. ბერიძე. 4 ნოემბრიდან ბ-ნი მთა-  
 ვარელიშვილი, თანხმად მისი თხოვნისა, გადაყვნილი  
 იქნა ისევე მასწავლებლად ქუთაისის სათავად-  
 ანაურო სკოლაში, ხოლო სენაკის სკოლის დროებით  
 მართვა-გამეგობა მიწნდო ამავე სკოლის დროებით  
 მასწავლებელს ა. წითლიძეს. ამ ყამთ წესიერება სუ-  
 ფვეს სკოლაში და სწავლის საქმე მიდის თავის გზა-  
 ზეო“

საანგარიშო წელს ამ სკოლაზე დახარჯულა 6597  
 მან. 97 კ. შევირდები ითვლებიან სკოლაში 141  
 1899/1900 წლის დამღვეს.

„საზოგადოებას“ ჩხოლოდ კაციავის სკოლისათ  
 აქვს საკვირაო სკოლა დიდებისათვის სხვაგან კი არ  
 ჰქონებია.

„საზოგადოებას“ ჰყავს სულ 611 წევრი. მათში საწევრო ფულა საანგარიშო წელს შემოუტანია მხოლოდ 146 წევრს. გამგეობას ჰქონებია 39 სტდომა და განუზღავთ 416 საქმე. გამგეობის წევრთაგან სხდომას დაესწრენ: თავმჯდომარე თ. ი. ჰუბეაძე—4 ჯერ, მისი ამხანაგი ნ. ცხვედაძე 35 ჯერ, დ. კარაქაშვილი 38 ჯერ, ი. ზუბოთინშვილი 31, ი. რატიშვილი 26, ა. ჰუნიანი 21, ი. გოგვაძეშვილი 21, გ. ყიფშიძე 20, ე. თაყაიშვილი 19, გ. იოსელიანი 17, ვ. ლორთქიფანიძე (იფისში არჩეულია) 17, ე. გაბაშვილისა 5 და კ. აბაშიძე 3 ჯერ<sup>2)</sup>

### წიწილი საზოგადოება

მუშათა პარტია დემოკრატიულ რეფორმების მომხრე.  
—ადგილობრივი თვით-მართლობა.—მუშათა პარტია მუნიციპალიტეტებში.—მაისის არჩევნები.

მუშათა პარტიები, საისტორიო სტენაზე გამოსვლის დღიდან, აღდგან ორ გვარ სამოქმედო პროგრამას. ერთი შეეხება აწმყოს, მუშათა დღიურ ჰირ-ვარამს; მეორე მომავალს, მუშათა საზოგადოებრივ იდეალის განხორციელებას. თანხმით პირველისა პარტიები ცდილობენ სხვა-და-სხვა დემოკრატიულ რეფორმების შემოღებას ხალხის ყოველდღიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, ცხოვრების სიღუბლიერის შესამსუბუქებლათ და შესასუსტებლათ; თანხმით მეორისა პარტიები ავრცელებენ სოციალურ მოძღვრებას, ადგენენ პოლიტიკურ ორგანიზაციებს და ამ გვართ ამზადებენ საზოგადოებრივ ძალას პროლეტარიატის ისტორიულ მოწოდების განსახორციელებლათ. მარა პროგრამის ასეთი განცალკევება და განსხვავება შეიძლება მხოლოდ ქალღღმე; ნამდვილათ კი, თვით ცხოვრებაში, ეს ორივე გვარი პროგრამა და მოქმედება მჭიდროთ არის ერთი მეორეზე შეკავშირებული. ერთის გაძლიერება თუ გამარჯვება არის იმავე დროს მეორის გაძლიერება და გამარჯვება. რამდენათაც უმჯობესდება მუშა ხალხის მდგომარეობა და ფართოდება მისი უფლებები სხვა-და-სხვა კანონებისა და რეფორმების მეშვეობით, იმდენათ მათულობს მისი ცნობიერება, კლასიური ინტერესების შეგნება და მათსადაღმე ძლიერდება პოლიტიკურათ და პირ იქით. გარდა ამისა, როცა პარტია მოქმედობს რაიმე რეფორმის სასარგებლოთ, იგი ერთი წუთითაც არ ტოვებს პარტიულ თვალთა ხეღვის წერტილს, ერთი წუთითაც არ იეიწყებს

უკანასკნელ მიზანს; ყოველი მისი ნაბიჯი სარგებელი მისი სიტყვა—ერთაც უნდა იყოს გამოწვეული და რასაც კი უნდა შეეხებოდეს—ყოველთვის აქეთ-კენ არის მიმართული; ამ მიზნით არის განსაზღვრული მთელი მისი მოქმედება, ეს მიზანია სასიცოცხლო ძარღვი, ურომლისთათაც პარტია სპობს არსებობას.

მიუხედავად იმისა, რომ მუშათა პარტიები არასოდეს არ ტოვებენ უყურადღებოთ დემოკრატიულ რეფორმების განხორციელებას, მაინც საერთოთ შეგვიძლია აღვნიშნათ, რომ პირველ ხანებში, როცა მუშა ხალხი არ იყო ჯერ საკმაოთ გამოვლიძებული, ვერც საკმაოთ ვარკვეული იყო ბურჟუაზიულ მქადაგებლათ ლათიაებში, მუშათა პარტიები უმთავრეს მუკადილეობას ანდომებდენ პროლეტარიატის სწორე გზაზე გამოყვანას და ბურჟუაზიულ ბანაკის მოპირდაპირე პოლიტიკურ ორგანიზაციების შედგენას. იმ დროს მუშათა პარტიებს არც ჰქონდათ შესაფერი ძალ-ღონე შრომის სასარგებლო რეფორმების გასატარებლათ. დღეს კი ხელ სხვას ხედავთ. პროლეტარიატის საგრძნობლმანაწილმან უკვე კარგათ შეიგნო თავისი ვინაობა, თავისი ადგილი და მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოებაში; იგი საკუთარ ფეხზე დადგა და შეადგინა ისეთ ძალას, რომლის ვარკვე უღარაფერი არ ხდება სახელმწიფოში. ქვეყნის მართვა-გამგეობა, კანონ-მდებლობა, პოლიტიკური პარტიების მოქმედება—ყველა იღებს ასეთ თუ ისეთ გამოხატულებას და მიმართულებას, თანხმით იმისა თუ რას ფიქრობს და რას აკეთებს პროლეტარიატი. უკანასკნელი გრძნობს თავის ძალ-ღონეს, ხედავს, რომ მისი ცნობიერი სიტყვა არ დარჩება ლითონ სიტყვათ, მისი შეგნებული მისწრაფება არ იქნება უნაყოფო ოცნება და ამიტომ უფრო დაბეჯითებით, ვინემ როდისმე, თხოულობს სხვა-და-სხვა რეფორმებს; აარსებს სინდიკატებს,<sup>1)</sup> კაპიტალთან საბრძოლველ კასებს, ავრთვე კოოპერატიულ ამხანაგობებს<sup>2)</sup> და სხ. ამასთანავე კარგათ იცის, რომ არც ერთი ეს დაწყობილება, არც ერთი ეს რეფორმა თავისთავათ სრულებითაც არ შეიკავს სოციალური კითხვის ვადაქრას, იცის, რომ ცხენი მხოლოთ უადვილებენ მომავლისაკენ საველ ეკლიან გზას; უმატებენ ენერჯიას და მით უახლოებენ

<sup>2)</sup> ბ. აბაშიძე თფილისში კია ხანია აღარ ცხოვრობს, დომებს ვერ ესწრება, თუ არ შემთხვევით, ხოლო გამგეობის წევრობიდან კი მაინც არ ათავისუფლებენ.

<sup>1)</sup> მუშათა სინდიკატი ეკონომიური ორგანიზაცია. იმის მიზანია კაპიტალთან ბრძოლა სამუშაო დღის შესამკირებლათ, ხელ-ფასის მოსამატებლათ და საზოგადოთ შრომის პირობების გასაუმჯობესებლათ.  
<sup>2)</sup> კოოპერატიულ ამხანაგობას სულ სხვა-და-სხვა მნიშვნელობა აქვს ევროპაში და ჩვენში. რადაც სხვა-და-სხვათ თვით პოლიტიკური და ეკონომიური პირობები.

უკანასკნელ მიზანს. მუშათა პარტია არა ტოვებს უსურადღებოთ არც ერთ პოლიტიკურ კითხვას, ვისგანაც კი უნდა იყოს წამოყენებული; არ უქცევს მისას თვით ბურჟუაზიულ პარტიებ შორის ჩამოვარდნოთ არც ერთ საზოგადოებრივ უთანხმოებას და განხეთქილებას, რადგან იცის, რომ ის, რაც აინტერესებს ბურჟუაზიას, ასე თუ ისე შეეხება პროლეტარიატსაც, და ზოგჯერ იგი დროებით ემხრობა კიდევ რომელსამე ბურჟუაზიულ პარტიას, თუ ეს, წინააღმდეგ რეაქციისა, მოსარჩლეა რაიმე რეფორმისა. დღეს პროლეტარიატს აღარა აქვს ის შიში, რომ ბურჟუაზიულ პარტიის დროებით მომხრეობამ მას საკუთარ სავალ გზას გადახვეწინოს და კლასიური პროგრამა დაავიწყებინოს. შრომისა და კაპიტალ შორის გათხრილი უფსკრული მეტათ აღიდა, რომ შეიძლებოდა მისი ამოვსება რაიმე მანქანებით. მუშათა პარტია მხურვალე მონაწილეობას იღებს როგორც საკანონმდებლო, ისე ადგილობრივ თვით-მართველობის ორგანიზების არჩევნებზე. ერთი სიტყვით პარტია ყველგან აღებს აქამდე დაკეტილ კარებს, შედის საზოგადოებრივ მესხანინების ყველა ნაწილებში, აფართოებს ამ მესხანინებს, ავანტირებს ცხოვრების დღევანდელ ჩარჩოებს, ვინემ ეს შესაძლებელი იქნება, ვინემ ჩარჩოები მთლათ არ დამიტყვევა და არ გადმოხეთქავს ახალი ცხოვრება ახალ ფორმებში ჩამოსხმული.

ის, რაც ვთქვით საზოგადოთ მუშათა პარტიებზე, იგივე ითქმის კერძო საფრანგეთის მუშათა პარტიაზე. ეს უკანასკნელიც გაძლიერდა და გაიზარდა როგორც სიღრმეზე ისე სიგანეზე. მისი მოქმედება გართულდა, გამრავალფეროვანდა. იგი ყველგან ჩნდება, სადაც კი სიცოცხლე ფეთქავს. პრაქტიკულ მოქმედებასაც პარტია დღეს გაცილებით უფრო მეტ ადგილს უთმობს, ვინემ წინეთ. ჩვენ აქ შევხებით მის მოქმედებას მხოლოთ მუნცი-პალიტეტებში (საბჭოებში). მე-80-ცე წლების დასაწყისში მუშათა პარტია შეუძლებლათ ხედავდა რაიმე პრაქტიკული გაკეთებულობა მუშათა სასარგებლოთ მუნციპალიტეტის ორგანიზაციის ფარგლებში და თუ მაინც მოწინააღმდეგობას იღებდა არჩევნებში, ამის ერთთა-ერთი მიზანი იყო—საარჩევნო აგიტაციის საშუალებით თავისი ზარები გავერცხლებოდა ახალი მიმდევარნი შეეძინა. 1891 წ. (ლონონში მომხდარ კონგრესზე) პარტიამ შეიმუშავა მუნციპალური პროგრამა, რომლითაც დასახლებულ მიზანს შეუერთა სხვა-და-სხვა პრაქტიკულ მოთხოვნილებათა განხორციელება. დღეს ამ პროგრამას ადგანან პარტიის ყველა ფრაქციები. ვინემ ამ პროგრამას გაფართოებდნენ მკითხველს, მოკლეთ აღენიშნათ საფრანგეთის—საკმაოთა რთული—ადგილობრივი თვით-მართველობის ორგანიზაცია.

„ადამიანისა და მოქალაქეს უფლებების შესახებ“ აღძრული რევოლუციები, თუცა შეუძლებლათ ანგრევდნენ საფრანგეთის ძველ წყობილებას, პარტიების თვით-წინაშეს და მის საკლათ ამყარებდნენ თანამედროვე მოქალაქეობრივ განწყობილებას, ადამიანთა თანასწორობას კანონის წინაშე, მარა მიუხედავთ ამ რევოლუციებისა ადგილობრივ თვით-მართველობამ რამდენთიმე შეინახა ძველი წესები; იგი ფებ-და-ფებ ვერ გაჰყავ ქვეყნის საერთო ზრდას და პოლიტიკურ განვითარებას. დღევანდელი ის აქ არსებობს ნაპოლეონის მიერ შემოღებული ცენტრალისტური ადმინისტრაცია. ეს ისეთი ორგანიზაციაა, საცა ყველა ძაფები მოკროვილია ერთ უმაღლეს ცენტრში (აღმასრულებული მთავრობა—peuvoir exécutif) და ამავე ცენტრიდან მომდინარეობს ყოველივე ბრძანება თვით „სიკვდილ-სიცოცხლის“ შესახებაც. მარა მკითხველმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ცენტრიც არის და ცენტრიც. საფრანგეთის პრეზიდენტი ვერაფერს ვერ გააკეთებს უმინისტროთ, ხოლო მინისტრები კი პასუხის მგებელნი არიან პარლამენტის (ხალხის წარმომადგენელი) წინაშე. როგორც ხედავთ ზოგჯერ სიტყვა ძალიან მაცლურია. ზოგჯერ ერთი და იმავე სიტყვით აღენიშნავთ ორ სულ სხვა-და-სხვა შემეცნებას.

ადმინისტრაციულათ საფრანგეთი დაყოფილია დეპარტამენტებათ (გუბერნიას), „არონდისმანებათ“ (ოლქი) და კომუნებათ (ქალაქი ან სოფელი), ზოგი „არონდისმანები“ კიდევ კანტონებათ (რამდენიმე კომუნა). დეპარტამენტებია რიცხვით 86; არონდისმანები—362; კანტონები—2899; კომუნა—36.170 (მცხოვრებთა საერთო რიცხვია 38½ მილიონი). ყველა ამ ადმინისტრაციულ ნაწილთა მართვა-გამგეობა დაყრდნობილია დემოკრატულ საფუძველზე, საარჩევნო პრინციპზე, რომელიც პირველათ დაკანონა 1789 წ. დღემდ რევოლუციისა. მათ განაგებენ ხალხის მიერვე ამორჩეული საბჭოები. საარჩევნო უფლება (1848 წ. შემდეგ) ეკუთვნის ყველა მოქალაქეს—ასაკით არა ნაკლებ 21 წლისას—განურჩევლათ წოდება-ხარისხისა და შეძლებისა. (ლაქია-მოსამსახურეებიც აქ მოქალაქეებათ ითვლებიან). საბჭოს წევრთა ასარჩევი უნდა იყოს არა ნაკლებ 25 წლისა და—არამ დამოუკიდებლათ და თავისუფლათ შეეძლოს საზოგადო საქმეზე ფიქრი და ზრუნვა—არ უნდა მსახურებდეს სახელმწიფოთ დაწესებულებაში. საბჭოს წევრობიდან გამორიცხულნი არიან სამხედრო, სასულიერო და სამოსამართლო მოხელენი.

სადეპარტამენტო ანუ გენერალური საბჭოს (conseil general) წევრთა რაოდენობა დამოკიდებულია



ბულია დეპარტამენტის კანტონების რიცხვზე. ყველა კანტონი ირჩევს თითო წარმომადგენელს საბჭოში 6 წლის ვადით. სამ წელიწადში ერთხელ ახლდება საბჭოს წევრთა საერთო რიცხვის ნახევარი. საბჭო განაგებს დეპარტამენტის უძრავ-მძძირე ქონებას, გზებს, ხიდებს, არხებს და სხ. მისივე მოვალეობაა დეპარტამენტზე შეწერილ სახელმწიფო ხაჯრის „არონდისმანგზე“ განაწილება (ესენი ანაწილებენ კომუნებზე, უკანასკნელი კალკე მოქალაქეებზე), გარდა ამისა საკუთარი ბიუჯეტის შედგენა, საკუთარი გადასახადების გაწერა და სხვა; საბჭოს კრებები საჯაროა. კითხვები წყდება ხმის უმეტესობით. ზოგიერთ დადგენილებათა სისრულეში მოსაყვანა საჭიროა დეპარტამენტის პრეფექტის (გუბერნატორი) თანხმობა. უმთავრესი რამ კი თხოულობს რესპუბლიკის პრეზიდენტის დეკრეტს (ბრძანებას). საბჭოს არა ჩვეულებრივი კრება შეუძლია მოიწვიოს წევრთა ორ მესამედს, აგრეთვე დეპარტამენტის პრეფექტს. ჩვეულებრივით კი საბჭო იკრიბება წელიწადში ორჯერ, თითო სესია გრძელდება ერთ თვეს. დანარჩენ დროს საბჭოს საქმეებს აწარმოებს მუდმივი სადეპარტამენტო კომისია (4-7 წევრისაგან), არჩეული საბჭოსაგან წევრთა შორისვე. ყველა სესიას დაწყებისათავე კომისია უდგენს თავის ნამოქმედარის ვრცელ ანგარიშს და პასუხსაც აცხადებს.

დეპარტამენტში მთავრობის წარმომადგენელია დეპარტამენტის პრეფექტი. იგი არის ერთი მხრით მთავრობის განკარგულებათა აღმასრულებელი და სახელმწიფო კანონების დამცველი, მეორე მხრით ლენერალურ საბჭოს დადგენილებათა სისრულეში მომყვანი. პრეფექტსა ჰყავს საკუთარი საბჭო (conseil de préfetურ). უკანასკნელი ასრულებს რამოდენათმე სამოსამართლო ფუნქციას (მოვალეობას). ლეზულობს და ასამართლებს კერძო პირთა საჩივრებს გადასახადების შესახებ, დეპარტამენტის მოიჯარადრეების და კონცესიონარების პროცესებს და სხ. მხოლოდ რთული საქმეები კი იგზავნება ჩვეულებრივ სამოქალაქო სასამართლოში. „საპრეფექტო საბჭო“ აგრეთვე მრჩველ-დამრიგებელია პრეფექტის, მარა ამ რჩევა-დარიგების მიღება მისთვის არ არის სავალდებულო. როგორც პრეფექტი ისე „საპრეფექტო საბჭო“ ინიშნება რესპუბლიკის პრეზიდენტისაგან. „არონდისმანგის“ საბჭოები დგება იმავე წეს-რიგით, როგორც ლენერალური საბჭო, ხოლო კრებები კი არ არის საჯარო (და არც საინტერესოა—დასძენს ერთი ფრანგი იურისტი). საერთოთა „არონდისმანგის“ საბჭოს მაგდენი არაფერი მნიშვნელობა აქვს თეთ-მართველობაში და კიდევ ფიქრობენ მათ სრულ გაუქმებაზე. უფრო

დიდ როლს თამაშობენ კომუნალური საბჭოები ანუ მუნიციპალიტეტები.

კომუნალურ საბჭოს ხმოსანთა რიცხვი განისაზღვრება მცხოვრებთა რაოდენობით.<sup>3)</sup> ხმოსნები ირჩევიან 4 წლის ვადით, რომლის შემდეგ საბჭო იცვლება ერთიანათ. საბჭო ხმოსანთა შორის არჩევს 4 წლის ვადით თავმჯდომარეს—რომელსაც ეწოდება მურა (თავი), მის თანაშემწეებს, მდივნებს და სხვა მოხელეებს, აგრეთვე კალკე კომისიებს რაიმე კითხვის საფუძლიანათ შესასწავლოთ. მერი ერთი მხრით ცენტრალური მთავრობის ადგენის როლს ასრულებს; მოვალეა დაიცავს საზოგადოებრივი წესიერება და მკუდროება, გამოსვლის შესაფერი განკარგულებანი, ფეხზე დააყენოს პოლიცია და სხ. მარა დეპარტამენტის პრეფექტს ყოველთვის შეუძლია „მერის“ განკარგულება შეაჩეროს ან სულ უარ ჰყოს (შეცვლა კი არასოდეს). მეორე მხრით, მერი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელია ყველა საზოგადო თუ სასამართლო საქმეებში. მერი აწარმოებს აგრეთვე კომუნის შემოსავალ-გასავალს; დაბადება, ქორწინება და გარდაცვალების აქტებს და სხ.

მუნიციპალიტეტის ჩვეულებრივი კრებები იმართება წელიწადში 4-ჯერ. თითო სესია გრძელდება 15 დღეს. არაჩვეულებრივ კრებას იწვევს ხმოსანთა უმეტესობა, აგრეთვე დეპარტამენტის პრეფექტი; მასვე შეუძლია კრების შეჩერება არა უმეტეს ერთი თვისა. შინაგან საქმეთა მინისტრს შეუძლია შეაჩეროს ორი თვით; ხოლო რესპუბლიკის პრეზიდენტს ნება აქვს სულ დაითხოვოს საბჭო, მარა ორი თვის შემდეგ კი უნდა არჩეულ იქმნას ახალი. ეს საბჭო განაგებს იმავე საქმეებს, რასაც ლენერალური საბჭო, ხოლო კომუნის საზღვრებში, რასაკვირველია. მის ხელშია აგრეთვე პირველ დაწყებითი სკოლები, სახალხო უნივერსიტეტების განსნა და პატრონობა და სხ. იგი ირჩევს აგრეთვე დღლეგატებს, რომელნიც ლენერალურ საბჭოსთან ერთათ ირჩევენ სენატორებს. მუნიციპალიტეტის ცოტათ თუ ბევრათ საყურადღებო დადგენილება უნდა დამტკიცებულ იქმნას პრეფექტისაგან, ხოლო უმთავრესი კითხვა, მაგ. შესახებ კომუნალური ბიუჯეტისა, რომელიც აღემატება 3 მილიონს, თხოულობს პრეზიდენტის სანქციას.

საფრანგეთის საერთო აღმინისტრაციულ ორგანიზაციიდან რამოდენათმე განსხვავდება სენის

3) 500 მცხოვრებზე ირჩევა 10 ხმოსანი.		
2501—3.500	„	21 „
30.001—40.000	„	30 „
60.000-ზე	„	36 „ და სხ.


დებარტამენტის და თვით პარიჟის ადმინისტრაციული წყობილება. ღიონში განსაკუთრებული წესები არსებობდა 1884 წლამდე. ახლა არსებითი გათანასწორებული დანარჩენ კომუნებთან.

სენის დებარტამენტში არ არსებობს ღენერალურ საბჭოს მუდმივი კომისია. თვით საბჭოში, გარდა 21 კანტონალურ წარმომადგენელთა, წვერებათ შედიან პარიჟის ყველა ხმოსნები, რიცხვით 80. პარიჟი გაყოფილია 20 „არონდისმანათ“ (იმ „არონდისმანებს“ არა ჰყავთ საკუთარი—არონდისმანების—საბჭო), „არონდისმანი“ იყოფება 4 უბნათ. თვითოველი მათგანი ირჩევს ერთ ხმოსანს. არონდისმანებს რესპუბლიკის პრეზიდენტი უნიშნავს 1 მერს და ორ მის თანაშემწეს. ამათ არა აქვთ უფლება მუნიციპალურ კრებებზე მონაწილეობა მიიღონ. გარდა ამისა, პარიჟის მუნიციპალიტეტს არა ჰყავს ჩვეულებრივი, საერთო მერი. იგი ირჩევს მხოლოდ კრებების უბრალო თავმჯდომარეს. მერის მოვალეობას კი ასრულებს დებარტამენტის პრეფექტი, პოლიციის პრეფექტის თანაშემწეობით. ორივე პრეფექტს ნება აქვთ კრებებზე დაესწონან და ილაპარაკონ. პარიჟის მუნიციპალიტეტს არ შეუძლია არც სესხის აღება და არც ახალი მუნიციპალური გადასახადის შემოღება კანონის ნება დაურთველოთ. ესეთი განსაკუთრებული ზომები გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ პარიჟი დღემდის „ბუნტის თავი“ ითვლება და სამართლიანიათაჲ. თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში, პარიჟი მეთაურობდა ყველა რევოლუციებს. პარიჟი არყვედა მთელ საფრანგეთს ერთი კუთხიდან მეორემდე; პარიჟი შლიდა ძველ მთავრობას, ფეხით ჰქეცაჲ და ძველ კანონს; პარიჟის საბჭოში ღგებოდა ახალი მთავრობა, იცემებოდა ახალი კანონი; პარიჟის საბჭოზე 71 წელს მუშათა მთავრობამ აღმართა წიფელი დროშა და პარიჟს არა ძინავს დღესაც.

პარიჟი.

ლ. დ.

(შემდეგი იქნება)



### ბ. ნ. თავდგირიძეს.

„ცეალის“ მე-21 №-ში მოთავსებულ წერილს— „თავდაზნაურთა საქმეები“—ძალიან გაუჯავრებია ბ. ნიკო თავდგირიძე და ჩვენ წინააღმდეგ „ივერიაში“ (№ 115) გამოულაშქრნია. აი რით იწყებს ის თავის წერილს: „ვთხოვთ საშუალება მომცეთ „ცეალის“ მე-21 №-ში მოთავსებული სრულად გადამახინჯებული ამბავი ქუთაისის „სააზნაურო საქმეების“ შესახებ შევასწორო და რამდენაათც

შესაძლებელია სიმართლე აღვადგინო;“<sup>1)</sup> „ცეალის“ პარტკიტა აბაშიძის ასეთი ზრგათგეგმვის-რა, რასაც, ჩვეულებრივ“ (?) ნაძალადეგ (!) საშუალებით ბრალთა გედებს „ცეალის“ რედაქცია, რომელიც თავის გასამართლებლათ (!) იმოწმებს ვითომ „ცნობის ფურცლის“ 13 და 14 მისის ნომრებსა“. გამოადის რომ ჩვენ მოგვეგონებია ის, რასაც ამათ შესახებ ვწერდით და არა გადმოგვიღია „ცნობის ფურცლის“ ანგარიშიდან! აი ნამდვილ მოგონებას, და კიდევ ასე გასაშტერებელს, თუ იკითხავთ ეს არის. თვითონ ბ. თავდგირიძეს მიერ მოყვანილ ადგილებიდან ნათლათ ჩანს, რომ ჩვენ არა მოგვიგონებია-რა, მაგრამ ის მაინც გაიძახის მოგონებათ! მას ამოუწერა „ცეალის“ სიტყვები (თავი მოუგლეჯია, ასე რომ კაცმა არ ცის რაზე არის ღაპარაკი) და ადარებს „ცნობის ფურცლის“ სიტყვებს, საიდანაც ბრმაჲ კი ღინახავს, რომ თავდგირიძის და აბაშიძის წინააღმდეგები, რომელიც „ცეალში“, დაბეჭდილია „ცნობის ფურცელშია“, ხოლო ის „რჩები“ და წინასიტყვაობები, რომელიც „ცნობის ფურ.“ არის „ცეალში“ არ არის მოყვანილი, ვინაიდან ჩვენ კრების ანგარიშს კი არ ვწერდით, არამედ აღძრულ კითხვის შესახებ სხვა-და-სხვა პირთა კატეგორიულ პასუხებს. და აი ეს პასუხები ბ. თავდგირიძის, ბ. აბაშიძის და სხვების სიტყვა-სიტყვით „ცნ. ფურც.“ ანგარიშიდან გვაქვს გადმობეჭდილი. ბ. თავდგირიძეს რომ ეთქვა ეს ანგარიში ტყუილიაო, ჩვენც სათქმელი არა გვექნებოდა-რა და ვიტყოდით „ცნ. ფურც.“ შეცდომაში შეგვიყვანათქვა. მაგრამ ბ. თავდგირიძე პირ იქით ამ ანგარიშს მართლათ ცნობს და ამის ძალით გაიძახის, „ცეალში“ ცილი დაგვეშამაო მოვიყვანათ ის კიდევ ერთხელ და მივ ნათლათ ვყოთ ის ოინები, რასაც ჩვენ წინააღმდეგ ხმარობენ.

თავდაზნაურობის კრებაზე ბ. ს. ხუნდამეშემდეგი წინააღმდეგა შეიტანა: „ერთი მხრით დავყენათ განათლებული ახალგაზრდა, რომელთაც მიუღიათ საშუალო ან უმაღლესი განათლება და მეორე მხრით მოხელენი, ჩინოვნიკობა“. ვითხოვთ, რომ განათლებულს მათეხიკოს ქონებრივი ცენზი მხოლოდ 20 დესიატინა, ჩინოვნიკებს“ კი 30 დესიატინა“ („ცნ. ფურ.“ 14 მისის, გვერდი 2, სვეტი მეორე). მოვიხსენიეთ რა ეს „ცეალში“, ვიკითხეთ: ვინ როგორ შეხვდა ამ კითხვას? და ამოუწერეთ ამ კითხვის გადაჭრილი პასუხები (და არა „რჩები“) „ცნ. ფურცლიდან“.

საქართველოს  
საზღვრის დაცვის  
სამსახური

„ნ. ფურ.“ 14 მაისს

წერდა:

„... თ. ლოლაუა, რაიცა შეეხება განათლებულ ნაწილს ჩვენი საზოგადოების, მათთვის სრულ დიდ და არ უნდა იქმნეს საჭირო კონგრები ცენზი, ხოლო რაიცა შეეხება ჩინიფიკაციას და სხვებს მათთვის ცენზის შემცირება არ უნდა ვითხოვოთ.“ (შემდეგ მოიღოს გმრული ლაპარაკი კრების მრავალთ რატიფიკაციისაზე.)

აქედან ცხადია „კავალი“ იმეორებს „კნობის ფურცელს“. ბ. ლოლაუს შესახებ, მაგრამ ბ. თავდგირიძე მიიწერა ამბობს, ლოლაუს „მიუღმა“ „კავალი“, თვარა ის ცენზის შემცირების წინააღმდეგი იყოყრა. მართალია ეს მოვიყვანათ მოწმეთ თვით კტა აბაშიძე, რომელმაც კრებაში თქვა შემდეგი: „ბ. ლოლაუ ბრძანებს ცენზი სულ ან არის საჭიროა, ტაშის ცემით ვგებებით, თ. დაღვიკელიანი ცენზის მიმატებას თხოულობს, თქვენ ისეთივე ტაშის ცემით ვგებებით. ორის სრულად წინააღმდეგა აზრის დათანხმება ამტკიცებს, რომ საზოგადოებას კიდევ ვერ შეუტენია ნათელი აზრი ამ საგნის შესახებ“. (ან. ფურ. „14 მაისი გვ. 3, სვეტი 1).

„აქვარა, თ. აბაშიძესაც ისე გაუგია ლოლაუს სიტყვები, როგორც ჩვენ ვაგვიგონ, როგორათაც ყველა მსმენელი, გინდ მკითხველი, ვაგებდა, ვარდა ბ. თავდგირიძისა. ერთი სიტყვით, რომ ბ. ლოლაუ განათლებულთათვის ცენზის წინააღმდეგი იყო — ამას ამტკიცებს მისი სიტყვები, ამას ამტკიცებს თ. კ. აბეშიძე, და მაშინვე ცილს გვჭამებს. თავდგირიძე, რაცა ამბობს: „კავალი“ „მიუღმა“ ლოლაუსა.

ახლა გადავიდეთ თვით კ. აბაშიძის და ბ. ნ. თავდგირიძის სიტყვებზე:

„ნ. ფურ.“ 14 მაისის

წერდა:

„... თ. კ. აბაშიძე: „...ის ვისაც თვალუფრო უდევნებია მთავრობის პოლიტიკის მიმართულებისათვის, კარგად დანახავდა, რომ ამ უკანასკნელათის წლის განმავლობაში ეს პოლიტიკა ამ გზას ადგია, რომ ქონებრივი ცენზის რაოდენობა გააღმცდა და არა შეამციროს. თანამოცდა ათიან წლებში გამოცემულმა კანონებმა საერთო და სამოქალაქო დაწესებულებათა შესახებ, უწინდელი ცენზი გააღმცდა და არა შეამციროს. ამისთანა დროში სასაქონლო ოთაგვიჯღებენ, ჩვენ

1) ჩვენ, რასაკვირველია, თანახმა არა ვართ ბ. ლოლაუს, როცა ამბობს, რომ კრების უწყისობა მისი მრავალ რატიფიკაციის პრაქტიკა, რის შესახებ ჩვენ არ ვთხოვდით გამოცემულმა ჩვენი აზრი, მარა ჩვენთვის ეს კი არ იყო და არის საინტერესოა ვინ არა თქვა სხვათა შორის, არამედ ის თუ ვინ როგორი პასუხი მისცა ხუნდადის წინადადებას.

„კავალი“ 21 მაისს

წერდა:

„მერე როგორ შეხედეს ამ კითხვას? თითქმის ყველა მოლაპარაკე წინააღმდეგი იყო ჩინიფიკაციის ცენზის შემცირებისა. დავა გამოვიწვი, განსაკუთრებით განათლებულთ ცენზის კითხვამ. აქ ერთად ვართმა ბ. ლ. ლოლაუ მა განაცხადა, რომ განათლებულთათვის არავითარი ცენზი არ არის საჭირო და პირდაპირ მიუშვათ კრებაში.“

რომ ცენზის შემცირება მოითხოვოთ და ამ გვარს შეუამდგომლობას შეუძლიან ეჭვი აღუქმას მთავრობას იმაში, რომ ჩვენ საგნის გადაწყვეტას სერობულათ ვგებნობით და შესაძლოა ამან სხვა ჩვენი შეამდგომლობა აზარალოს. ამიტომ ერთი სიტყვა წინააღმდეგ ერთი რომ უნდა ვითხოვოთ ეს ის რომ უშემაღლე უგანათლებლით აღუქვით ცენზის შემცირონ, მარტო 50-ან 100 დესიატინ და სხვა კი ისევე ისე დარჩეს.“

როგორც ხედავთ, „კავალის“ და „ან. ფურ.“ სიტყვები ერთმანეთს ეთანხმებიან იმ განსხვავებით, რომ „კავალი“ აბაშიძის წინადადება მოყვანილი და არა მისი წინასიტყვიანობა. ბ. აბაშიძე აქ მოყვანილი წინასიტყვიანობაში პირდაპირ ამბობს, რომ სასაქონლო იქნება ცენზის შემცირება ვითხოვოთ, რადგანაც მთავრობამ ერთხელ ცენზი გააღმცდა (მოგახსენებთ ბ. აბაშიძეს, რომ მთელ რუსეთში მიუხედავად ამ გადაღების, ცენზის შემცირებას თხოულობენ მაგ. საქალაქო არჩევნებში, რასაკვირველია, პროგრესისტები და არა რეაქციონერები). ამიტომ ის ხუნდადის ორ წინადადებას — საშუალო განათლებულთა და ჩინიფიკაციის ცენზის შემცირებას — სრულად უარს უყვარს. ხოლო უმაღლეს განათლებულთათვის უარს უყვარს აგრეთვე ხუნდადის 20 დესიატინას და თხოულობს 50 ან 100 დესიატინას. ნუ თუ ეს არ ნიშნავს განათლებულთა უცნაობის (როგორც ამას ლოლაუ ამბობდა) და გინდ მცირე ცენზობის (როგორც ამას ხუნდაძე თხოულობდა) წინააღმდეგობას? მაშ რა არის ეს, ბ. თავდგირიძე? ეს რომ ასეა კარავთ ცოდნა თვით თავდგირიძის, რაცა იქნა ჩანს, რომ ის ცდილა აბაშიძის აზრი დამახინჯებულათ მოყვანა და თავის სასარგებლოთ მოაყვანებია. აი როგორ მოჰყავს მას „იეგორის“ ის სიტყვა, რომელიც ჩვენ წვეთი მოვიყვანეთ „ან. ფურცლიდან“:

„თუ ოც და ოცდაათი დესიატინა ცოტა და მთავრობა, როგორც ეტყობა მის შეხედულებას უკანასკნელ ხანებში, ცენზის ნაშეცავათ შემცირებაზე არ დაგებთანხმება, სულ უარს ნუ ვტყვით და 50 ან 100 დესიატინა მანც ვითხოვთ განათლებულთათვის.“ (ივ. № 115, გვ. მე-3, სვეტი 14 მაისის „ნ. ფურ.“)

აი ისე დაამახინჯა ბ. თავდგირიძე ბ. აბაშიძის სიტყვები! აქ გადასხვაფერებულია არა თუ ვითარსიტყვობა, არამედ თვით წინადადებაც; აქ ისეა ვითომ ბ. აბაშიძე ცენზის შემცირებას თხოულობდა საზოგადოთ განათლებულთათვის და არა მხოლოდ „უმაღლესი განათლებით აღჭურვილთათვის“, როგორც ამას თვითონ აბაშიძე ამბობდა. და აი ამ დამახინჯებულ ციტატას ბ. თავდგირიძე ადარებს „კავალის“ სიტყვებს დასკვნის, არა ვაგისო! ოღონდაც რომ არა ჰგავს, თქვენ რომ ტყუილი ციტატა ნამდვილი ციტატას გვერდში ამოუყვანოთ, საიდან დავ-

„კავალი“ 21 მაისის

წერდა:

„ამის წინააღმდეგ (ე. ი. სრულად უცნობის წინააღმდეგ განათლებულთათვის) ამხებრდა თ. კ. აბაშიძე რომელმაც განაცხადა: „უმაღლესი განათლებით (საშუალო განათლება გამოურიცხავს!) აღჭურვილთ ცენზის შემცირონ, მარტო 50-ან 100 დესიატინა და სხვა კი ისევე ისე დარჩეს“.

როგორც ხედავთ, „კავალის“ და „ან. ფურ.“ სიტყვები ერთმანეთს ეთანხმებიან იმ განსხვავებით, რომ „კავალი“ აბაშიძის წინადადება მოყვანილი და არა მისი წინასიტყვიანობა. ბ. აბაშიძე აქ მოყვანილი წინასიტყვიანობაში პირდაპირ ამბობს, რომ სასაქონლო იქნება ცენზის შემცირება ვითხოვოთ, რადგანაც მთავრობამ ერთხელ ცენზი გააღმცდა (მოგახსენებთ ბ. აბაშიძეს, რომ მთელ რუსეთში მიუხედავად ამ გადაღების, ცენზის შემცირებას თხოულობენ მაგ. საქალაქო არჩევნებში, რასაკვირველია, პროგრესისტები და არა რეაქციონერები). ამიტომ ის ხუნდადის ორ წინადადებას — საშუალო განათლებულთა და ჩინიფიკაციის ცენზის შემცირებას — სრულად უარს უყვარს. ხოლო უმაღლეს განათლებულთათვის უარს უყვარს აგრეთვე ხუნდადის 20 დესიატინას და თხოულობს 50 ან 100 დესიატინას. ნუ თუ ეს არ ნიშნავს განათლებულთა უცნაობის (როგორც ამას ლოლაუ ამბობდა) და გინდ მცირე ცენზობის (როგორც ამას ხუნდაძე თხოულობდა) წინააღმდეგობას? მაშ რა არის ეს, ბ. თავდგირიძე? ეს რომ ასეა კარავთ ცოდნა თვით თავდგირიძის, რაცა იქნა ჩანს, რომ ის ცდილა აბაშიძის აზრი დამახინჯებულათ მოყვანა და თავის სასარგებლოთ მოაყვანებია. აი როგორ მოჰყავს მას „იეგორის“ ის სიტყვა, რომელიც ჩვენ წვეთი მოვიყვანეთ „ან. ფურცლიდან“:

„თუ ოც და ოცდაათი დესიატინა ცოტა და მთავრობა, როგორც ეტყობა მის შეხედულებას უკანასკნელ ხანებში, ცენზის ნაშეცავათ შემცირებაზე არ დაგებთანხმება, სულ უარს ნუ ვტყვით და 50 ან 100 დესიატინა მანც ვითხოვთ განათლებულთათვის.“ (ივ. № 115, გვ. მე-3, სვეტი 14 მაისის „ნ. ფურ.“)

მგზავსება? და აი ამის ჩამდენი, ჩვენზე ამბობს გადაამხინჯაო!?)

„ცნ. ფურ.“ 14 მაისს წერდა: „თ. ნ. თავდგირიძე: უნდა ვითხოვოთ, თავდაზნაურთა მახრის კრებას თვით მიეტყუ უფლება თავისი კრებით წვერება თავისი არჩევნებით სენას ღირსათ გუბერნიის კრებაში მონაწილეობის მიღებისა“.

„კვალის“ 21 მაისს წერდა: „თ. ნ. თავდგირიძე: სრულეულობით არ სცნო უნების შემცირება. მან თქვა: „თავდა-ზნაურთა მახრის კრებას თვით მიეტყუ უფლება თავისი კრებით ის წვერები თავისი არჩევნებით ცნოს ღირსეულად გუბერნიის კრებაში მონაწილეობის მიღებისა“.

ახლა ერთი მითხარით, რა არის განსხვავება ამ ორ ციტატას შორის? ის რომ ჩვენ დასკვნას ვაკეთებთ, ხოლო „ცნ. ფ.“ კი არა, ეს არის და ეს, ხოლო წინადადება კი საიტყუა-სიტყუით ვგვაქვს გაღმობეჭდილი. და განა არ ნიშნავს ეს ბ. ხუნდაძის წინადადების უარის ყოფას? განა არ არის ეს ცენზის ისევე ისე დატოვება, როგორც ახლა არის? თუ ამას უარ ჰყოფს ბ. თავდგირიძე, მაშინ ნება მომეცით ვიფიქრო რამე მას არ ცოდნია რასაც თხოულობს. ის თხოულობს აი რას: იმ თავდაზნაურთა მახრის კრებას, რომელიც ახლა არსებობს და რომლის წვერნი ორას დესიატინაში შემაძღვლენი არიან, ნება მიეცეს საგუბერნიო კრებაში თავის წვერებთან ერთად სხვა „კეთილი“ კაცებიც გაგზავნოსო, ე. ი. ისეთები, რომელთაც შეიძლება ორასი დესიატანა მიეწე არ აქვთო. ცხადია, არსებულთ ცენზი რჩება, მხოლოდ ამ ცენზიანთა ნება-ყოფლობაზეა დამოკიდებული უცენზოთა მიღება და არ მიღება. ე. ი. ისეთიველი თავდაზნაურთა კრებებისა იგივე ორასი დესიატინაა. თუ მეტყვიით აი ეს არის კანონისაგან ყოველად შეუწყნარებელი წინადადება და არა ცენზის საყოველთაოთა შემცირება. ამიტომაც კრების თავმჯდომარემ თ. სვ. წერეთელმა ასე მოახსენა ბ. თავდგირიძეს: „თქვენ თხოულობთ ისეთს რასმეს, რაცაც კანონმდებლობის არსებით მიმართულებას ეწინააღმდეგება და ყოველთა შეუძლებელია ვინმემ მიიღოს საყოველთაოთა ვერეთი შეუანდგომლობა“ (ცნ. ფურ.“ 14 მაისის გვ. მე-2 სვეტი 4). და ახლა ბ. თავდგირიძე მიანიც აქებს თავის წინადა-

დების და გვიმტკიცებს, ცენზის შემცირების წინადადება არ გყოფილვარ, ეს „კვალის“ მითხარით ვი...

ამ ნიართ, ხუნდაძის წინადადება იყო 20 დესიატანა საშუალო და მაღალ განათლებულთ, და ის გაუნათლებელ, ჩინოვნიკებს, ლოლუსს წინადადება—განათლებულთ სრული უცენზოთა, ჩინოვნიკებთ ისე როგორც არის, კ. აბაშიძის—ცენზის შემცირება მხოლოდ მაღალ განათლებულთ. თვის, 50 ან 100 დესიატინით, საშუალო განათლებულთ და ჩინოვნიკთ ისევე ორასი დესიატანა, ხოლო თავდგირიძეს წინადადებათ—ცენზი ისევე არჩება, რაც არის, მხოლოდ ამ ცენზიანთ კიდევ უფრო უდიდდება უფლება, ისინი სამოწყალოთ უცენზოთაც ღებულბენ, „კეთილ“ პირთ თავის წერით. ეს უკანასკნელი ორი წინადადება პირდაპირ ეწინააღმდეგება ხუნდაძის წინადადებას, რასაც ჩვენ ვამტკიცებდით და ახლაც ვამტკიცებთ.

ამასაც აღარ ეპარობს ბ. თავდგირიძე და ბოლოს ბატონურ მუქარას მოაყალიბა, ნ. ყორღანიან ან ბოდილი მოიხალოს ან და ვეცდები მისგან „სხვა გზით დავიცვა თავიო“. არც ნ. ყორღანიანს და არც „კვალის“ რედაქციას ბოდიშის მოსახდელი არა აქვს—რა, მათ არავითარი „ჯინი“ არ სჭირთ ბ. თავდგირიძისა და არც სხვა ვინმესთან და თუ წერენ მოღვაწეთა შესახებ—ეს მათი მწერლური და ზნეობრივი მოვალეობაა და ბ. თავდგირიძეც, როგორც მოღვაწე, საქართვების დროს ყოველთვის იქნება საგნათ მათი წეროლებისა. დრო არის, ბ. თავდგირიძეც, თქვენც შეეწყვიოთ იმ აზრს, რომ მწერლობაში უნდა განისაჯოს ყველა ის, ვინც საზოგადო ცხოვრებაში ასე თუ ისე მონაწილეობას ღებულობს<sup>3)</sup>.

ბოდიშს ვიხდით „კვალის“ მკითხველთან, რომ ამ საანბანო ქეშპარტიებს ამდენი ადგილი მოვანდომებო, მაგრამ რას იზამ როცა ორდაორს სადაოთ ვაგვიხდინა და თეთრს თვალსა და ხელს შეუვაგვიშეკებენ.

<sup>3)</sup> ბ. თავდგირიძე ამ დამახინჯებით არ დაკმაყოფილებულა და მთელი ერთი ციტატა ერთიანთ გამოკრძინა. აი რას წერს ის: „უხლა ვნახით ის „კვალის“ ფურცელი“, რომლიდანაც, როგორც გვაწიფუნებს „კვალის“ რედაქცია, უნდა ამოწერილოს ეს ცნობები: „8 მაისს, ე. ი. 13 მაისს“ (ცნ. ფურ.“ ეს ამავე დღეებდელი) ქუთაისის აზნარობას ცენზის შემცირებას მოვალეობა არ გაუარსებლობს, რადგანაც ეს კითხვა თითქმის ყველა სხვა რთულ საქმეების შემდგომ იყო მოხსენიებული“ დასხვა. მივლით ეს 15 სტრუქტურაინი ციტატა, რომელიც ვითომაც 13 მაისის „ცნ. ფურ.“ „მოთარებულთ, არ არის აქ მოთავსებული, ის არ არის არც 10 არც 11, არც 12 და არც 14 მაისის ნომერში. მაშ რატომ იძახის ბ. თავდგირიძე ეს 13 მაისის ნომერშია დაბეჭდილი? გაგონილა ამოღება ტყუილი? მე ვამბობ, არც ერთ ამ ნომერში ის არ არის და გვიოთხრას ბ. თავდგირიძემ საიდან ამოიღო ის?

<sup>3)</sup> ბ. თავდგირიძე წერს „კვალის“ რედაქციიდან მოვითხოვ „გამოიბოს სიმართლე როგორც „სტომბის ფურცელში მოთავსებულ სიტყვებთან შედარებით ისე „კეძოთა ცოდ.“ ეს შედარება ზეით არის და ყველასათვის ნათელი, ხოლო კერძოთ გამოთქმის დანიშნავა და ქნა-ქნა ამების კრება ჩვენი ხელობა არ არის. ჩვენ საკმე ვაკვებს და ბეჭდილ ანგარიშებთან, რომლის სიმარტეს თქვენც ამოწმებთ, და არა ბულვარების პორებთან. ეს „კეძოთა“ ამბების შეტობა და გაზეთებში ბეჭდვა, ისევე ბ. კ. აბაშიძის მოკითხვით—„მოწმეების“ შეგნავ მან იცის. (იხ. „იგ.“ 3 მაისის).

საქართველო-გამომც. ან. თ.-წერეთლისა. ბეჭდვით